



ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2020

წელს გაწეული მუშაობის შესახებ

პატივცემულო საკრებულოს წევრებო,

2020 წელი გარკვეული გამოწვევებით ხასიათდებოდა. 2020 წლის თებერვლიდან დაფიქსირდა ქვეყანაში კორონა ვირუსით დაინფიცირების პირველი შემთხვევა. პანდემიამ არც ჩვენს მუნიციპალიტეტს აუარა გვერდი. პირველივე შემთხვევები დაფიქსირდა ჩვენ მეზობელ ლენტეხის მუნიციპალიტეტში, რამაც განაპირობა ჩვენს მუნიციპალიტეტში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ყველა შესასვლელ-გამოსასვლელში მოეწყო დროებითი ბლოკპოსტები, მუნიციპალიტეტის მთელ რიგ სოფლებში, დაწესებულებებში, უწყებებში ჩატარდა საყოველთაო თერმოსკრინინგი. განხორციელდა ყველა ღონისძიება რომელზედაც შესაბამისი რეკომენდაციები მიიღო რესპუბლიკურმა და რეგიონალურმა საკოორდინაციო საბჭოებმა.

მიუხედავად პანდემიისაგან გამოწვეული პრობლემებისა და შეზღუდვებისა მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომელიც გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმით. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა ისიც, რომ მშვიდ ატმოსფეროში, კანონდარღვევების გარეშე ჩატარდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, სადაც დამაჯერებელი გამარჯვება პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მოიპოვა.

მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულებიდან გამომდინარე გარკვეული სამუშაოები იქნა ჩატარებული დაგეგმვის სრულყოფისათვის, სამოქმედო გეგმის მიხედვით არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დაიგეგმა, საანგარიშო პერიოდში დასრულდა გარდამავალი ობიექტი ქ.ცაგერში „კეჭნარის სკვერისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის“ სამუშაოები, რაზედაც დახარჯული იქნა 753291 ლარი, ობიექტი დამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული, შესაბამისად ობიექტი ტურისტებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა დიდ ინტერესს იწვევს.

საანგარიშო პერიოდში ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევით მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა ადგილობრივი გზების მოწესრიგების თვალსაზრისით, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შიდა სასოფლო გზების მოასფალტების სამუშაოთა შესასრულებლად, ამ მიზნით მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით დაიგეგმა და განხორციელდა სოფ.ქვ.ცაგერის „ახალდასახლების“ უბნის გზების რეაბილიტაცია, სადაც ასფალტის საფარი დაიგო 1905 გრძ. მეტრზე, მოეწყო წყალგამტარი მილები, გვერდულები, მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, რაზედაც დაიხარჯა 761593 ლარი. ამავე პერიოდში განხორციელდა ქ.ცაგერში ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები, კეთილმოეწყო ქ.ცაგერში ასათიანის ქუჩის მარჯვენა მხარე, კოსტავას, აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ჩხუტელის დასახლების ქუჩის

ჩიხები, სულ 8030 გრძ.მეტრზე, სანიაღვრე არხები 480 გრძ.მეტრზე, შესაბამისი ბორდიურებითა და ფეხით მოსიარულეთა ბილიკებით, სულ ამ მიზნით დაიხარჯება 588 530 ლარი.

სოფ.ქვ.ცაგერისა და გვესოს მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად დაიგეგმა და განხორციელდა ამ მიმართულებაზე ასფალტო-ბეტონის გზის მოწყობის მიზნით 437801 ლარი დაიხარჯა, სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთზე დაიგო 5200 კვ.მეტრი ასფალტის საფარი, სადაც მოეწყო დახურული ბეტონის სანიაღვრე არხი, ცხაურები 400 მეტრზე და გაბიონები, რითაც დადებითად გადაწყდა წლების განმავლობაში არსებული პრობლემა, ამავდროულად მიმდინარე წელს დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს ქ.ცაგერი სოფ.გვესოს ციხეთა კომპლექსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სადაც ასფალტის საფარი მოეწყობა 1678 გრძივ მეტრზე, მოეწყობა სანიაღვრე არხები, ცხაურები 1500 გრძ.მეტრზე, საყრდენი კედლები და გაბიონები 390 გრძ.მეტრზე, მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულია 1053000 ლარის ათვისება, ხოლო 382178 ლარის სამუშაოები მომავალი წლისათვისაა განსაზღვრული, ამავ პერიოდში დაიგეგმა და ამჟამად მიმდინარეობს სპათაგორი -ლეშკედის, სოფ.უსახელოში ცენტრალური საავტომობილო გზის, სოფ.ორბელში ზედა ორბელის ჩეროს უბნისა და სვანიძეების უბნის, სოფ.ჩხუტელში სკოლის მიმართულებით საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, სადაც საერთო ჯამში დაიგება 3500 გრძ.მეტრზე რკინა-ბეტონის გზა, სანიაღვრე არხები მოეწყობა 300გრძ.მეტრზე, საყრდენი კედლებით, წყალგამტარი მილებით და მოსახლეობასთან შესასვლელელების მოწყობით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით რეგიონული პროექტების დაფინანსებით მიმდინარე წელს გზების რეაბილიტაციის მიზნით, საერთო ჯამში, ხელშეკრულების საფუძველზე ასათვისებელმა სახსრებმა 3 552 586 ლარი შეადგინა, ამასთან 2021 წლისათვის გარდამავალ ობიექტებზე ასათვისებელი თანხა 1 276 194 ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის მერიამ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებთან ერთად სანგარიშო პერიოდში პრიორიტეტულ მიმართულებად აირჩია მოსახლეობისათვის უწყვეტი სასმელი წყლის მიწოდების პრობლემის მოგვარება, ამ მიზნით შერჩეული იქნა ისეთი სოფლები, რომლებიც განიცდიან სასმელი წყლის დეფიციტს, დასრულების პროცესშია ზუბის, ჩხუტელის და ლასხანის წყალმომარაგების მაგისტრალური მილსადენების მოწყობის სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 135 900 ლარს შეადგენს.

მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა სოფელ ჭალისთავის, წიფერჩის, ბარდნალის, ლარჩვალისა და ქვ.ცაგერის ნაწილის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოთა ჩასატარებლად, დამუშავდა საპროექტო წინადადებები, მომზადდა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, პროექტის მთლიანმა

ღირებულებამ 1828549 ლარი შეადგინა, სახელშეკრულებო ღირებულებამ 15999529 ლარი, ხოლო მიმდინარე წლისათვის ასათვისებელია 210526 ლარი, სამუშაოთა პროცესი მიმდინარეობს.

2020 წლისათვის დამუშავებული იქნა სოფელ ლასურიაშის, ნაკურალეშის, უსახელოს, დეხვირის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია. სპეციალისტების მიერ ჩატარდა გეოლოგიური კვლევები, პროექტმა გაიარა სათანადო ექსპერტიზა, პირველ ეტაპზე გამოცხადდა 4 ტენდერი, მომწოდებლებთან გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებები 589936 ლარზე, მათ შორის სოფელ ლასურიაშისა და დეხვირის წყალსადენზე ნაწილობრივი სამუშაოები ჩატარდა, ხოლო უსახელოსა და ნაკურალეშის წყალსადენებზე სამუშაო პროცესი არ განხორციელებულა, რის გამოც აღნიშნული ხელშეკრულებები შეწყვეტილია.

2020 წლისათვის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს ქ. ცაგერში მწვანე თეატრიდან მურის ციხესთან მისასვლელი ბილიკებისა და კიბეების მოწყობის სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ 397 556 ლარი შეადგინა, პროექტით გათვალისწინებულია ფეხით მოსიარულეთა და კლდეზე გადასასვლელი შეკიდული ბილიკებისა და გადასახედების მოწყობა 630 გრძ.მეტრზე, ბეტონის ბორდიურები 476 გრძ.მეტრზე, შესაბამისი ბაქნებით, მოაჯირით, 69 ცალი მზის ენერჯიაზე მომუშავე ფოტოელემენტებით ავტომატიანი სანათით.

ცაგერის მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩაება 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში, სადაც მონაწილეობას იღებდა მხარის მუნიციპალიტეტები, პროექტში მონაწილეობის მიზნით შერჩეული იქნა სოფელ საირმის ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან ბიზნესის განვითარების მიზნით მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია, პროექტმა მოწონება დაიმსახურა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N 1573 განკარგულების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტს გრანტის სახით გამოეყო 328 652 ლარი, ამჟამად, მიმდინარეობს სამუშაოთა პროცესი, რომელიც ითვალისწინებს 970 გრძ.მეტრი ბილიკების, ბორდიურების, დეკორატიული ქვაფენილის დაგებას, განათებისა და პარკინგის მოწყობას.

ამასთან, ერთად მუნიციპალიტეტში გრანტების მოპოვების შედეგად მოეწყო მერიის ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მომსახურების ბიურო, რაზედაც დახარჯულმა სახსრებმა 44361 ლარი შეადგინა, ასევე ლეჩხუმის ტურისტული საინფორმაციო ფლაიერების, ბროშურებისა და ტურისტული საგზაო ნიშნების მოწყობის მიზნით დაიხარჯა 16290 ლარი. აღნიშნული პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ტურიზმისა და მცირე ბიზნესის განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე ქ.ცაგერში მოეწყო დასასვენებელი სკვერი ღირებულებით 89799 ლარის. ასევე ქ.ცაგერის აღმაშენებლის

ქუჩაზე მოეწყო 2 ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები, ანალოგიური სპორტული მოედნები აშენდა სოფელ ლასურიაში, დეხვირში, აღვსა და ქვ.ცაგერში სულ მოედნების მოწყობის მიზნით სახელშეკრულებო ღირებულებამ 352 408 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წელს დაიგეგმა და განხორციელდა სოფელ აღვის, დეხვირის, ზუბის, საირმის, სურმუშის, უსახელოს, უცხერის საჯარო სკოლების ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ძირითადად შეეხო სველი წერტილებისა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელებას, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ 70563 ლარი შეადგინა.

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი იქნა 620000 ლარი, რომლის შესაბამისად დაიგეგმა 77 პროექტის განხორციელება, საიდანაც გარე განათების სამუშაოების ჩატარებას მოხმარდება 269000 ლარი. შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას 162500 ლარი, წყალსადენების რეაბილიტაციას 96500 ლარი, სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემების მოწყობას 21000 ლარი, სკვერების კეთილმოწყობას 28000 ლარი, სამედიცინო უბნების და ამბულატორიების რეაბილიტაციას 15000 ლარი,

ამავე პერიოდში მომზადდა სოფ.ქვედა ცაგერის 6 უბნის, ზედა ორბელის, გაგულერის, სპათაგორის, ლაცორიის, ჩხუტელის 6 უბნის, ლაჯანის 3 უბნის, ტვიშის, დეხვირის, აღვის, უსახელოს, წიფერჩის, ჭალისთავის 2 უბნის, ლასურიაში-მახაშის, ქ.ცაგერში აღმაშენებლის ქუჩის ეზოებისა და რუსთაველის ჩიხის რკინა-ბეტონის საფარის მოსაწყობად საპროექტო დოკუმენტაცია. მომზადებული იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფერჩის, ბარდნალის, ლარჩვალის, ჭალისთავის, ქვედა ცაგერის, ორბელის, ზედა აღვის, ქვედა აღვის და ალპანის წყალსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რისთვისაც სახელშეკრულებო სახსრებმა 44770 ლარი შეადგინა, ხოლო თამარ მეფის ჩიხის საკანალიზაციო ქსელის საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად სახელშეკრულებო თანხამ 1350 ლარი.

ამასთან ერთად შიდა სასოფლო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოთა შესყიდვაზე სახელშეკრულებო სახსრებმა 87418 ლარი შეადგინა, საკასო ათვისებამ 59807 ლარი, ხოლო საკანალიზაციო ქსელის მოვლა-შენახვის გამწმენდი ნაგებობის ასენიზატორული მომსახურებისათვის გასაწევი ხარჯების სახელშეკრულებო ღირებულებამ 10200 ლარი, ხოლო სოფელ ლუხვანოში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რემონტისათვის დაიხარჯა 737 ლარი.

სამსახურმა საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვა გასცა სოფელ ორბელში ნიკა ფარცვანიას საცხოვრებელი სახლის, სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლისა და

ქ.ცაგერში რუსთაველის ქუჩაზე კომერციული ფართისა და საოფისე ფართის მშენებლობაზე, სულ 3 ნებართვა.

აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მთიანი რეგიონების განვითარების მხარდაჭერისათვის, შედეგად არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება გახდა შესაძლებელი, მნიშვნელოვნად გაიზარდა განსახორციელებელი მასშტაბური პროექტების მოცულობები, დასრულდა სოფელ ლასურიაში მდ.ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები, რაზედაც სახელშეკრულებო თანხამ 4657766 ლარი შეადგინა, ხოლო სოფელ ჩხუტელში ჭალის უბნის მდ.ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილმა სახსრებმა 363900 ლარი.

მიმდინარეობს სოფ.ოყურემის მისასვლელი და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, რაზედაც დაიხარჯება 4177655 ლარი, გაფორმდა ხელშეკრულება სოფ.ლაილაშის და თაბორის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, სადაც გათვალისწინებულია 4627627 ლარის სამუშაოთა წარმოება, ხოლო სოფელ ჩქუმში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის მიზნით დაიხარჯება 2999900 ლარი, მიმდინარეობს სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის მშენებლობა 90 მოსწავლეზე, რაზედაც დაიხარჯება 1886178 ლარი.

უკვე გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია სოფ.ქულბაქი-მწვანე ტბის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, ასევე მიღებულია საქართველოს მთავრობის განკარგულება ხვამლის მთაზე მისასვლელი გზის პროექტირებისა და მშენებლობის შესახებ, რასაც უახლოეს პერიოდში ველოდებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე საერთო ჯამში 2020-2021 წლებში მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საგზაო დეპარტამენტის დაფინანსებით მუნიციპალიტეტში დაიხარჯება 18734326 ლარი.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად მუნიციპალიტეტში გაიზარდა ნარჩენების შეგროვების არეალი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტურისტულ და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სერვისის ამოქმედებას, 2020 წლისათვის ამ მიმართულებით დაიხარჯება 452800 ლარი, ქუჩების დასუფთავების სერვისით დაფარულია ქ.ცაგერი, მიმდინარეობს სანიაღვრე არხების გაწმენდა და სასაფლაოზე წარმოქმნილი ნარჩენების გატანა, სულ ქ.ცაგერსა და 24 სოფელში განთავსებულია 310 კონტეინერი, ხოლო 58 სოფლიდან ნარჩენების სერვისი არ მიეწოდება 35 დასახლებულ პუნქტს, ასევე გარე განათების მომსახურებისათვის 2020 წლისათვის დაიხარჯა 69100 ლარი.

ნარჩენების მართვას ემსახურება 3 ავტომანქანა, მაგრამ კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობის გამო სოფლებში ჯერ კიდევ 35 სტიქიური ნაგავსაყრელია, რომლის

მინიმუმამდე შემცირებისათვის დამატებით საჭიროა 350 ცალი ნაგვის ურნის შესყიდვა, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია, ამასთან მოძველებულია გარე განათების რემონტისათვის არსებული კომპურა ავტომანქანა, რომელიც საჭიროებს შეცვლას.

ადგილობრივი სამგზავრო სატრანსპორტო მოძრაობის 18 მარშრუტით მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ხდება მგზავრთა გადაყვანა, შესაბამისად 2020 წელს მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან დაიხარჯება 70000 ლარი, ასევე საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანას ემსახურება 21 მარშრუტი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად მომზადდა სტიქიით დაზარალებულ 46 ოჯახზე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები და ეცნობათ შესაბამისად სტიქიით დაზარალებულებს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად შესწავლილი იქნა 22 სტიქიით დაზარალებული ოჯახის მდგომარეობა, არსებული წესით (მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N 779 ბრძანების საფუძველზე) მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა სტიქიით დაზარალებული 15 ოჯახის შეფასების მასალები, სამინისტროს მოთხოვნით, სამინისტროს მიერ აღრიცხვაზე აყვანილ 250 ოჯახს დაეგზავნა შეტყობინება საცხოვრებელი სახლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე, რადგან 2020 წლიდან რეგისტრაციის გარეშე სტიქიით დაზარალებული ოჯახების საკითხები განსახლების თაობაზე არ განიხილება. დღემდე სამინისტროში გაგზავნილია 70 სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი სახლების რეგისტრაციის დოკუმენტაცია (სამინისტროს მოთხოვნით ბენეფიციარი ვალდებულია პირადად მან გაუგზავნოს სამინისტროს მისი საცხოვრებელი სახლის დოკუმენტაცია).

ამავე სამინისტროს მოთხოვნით შესწავლილი იქნა და სისტემატიზებული იქნა 2013 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნებით სტიქიით დაზარალებული ოჯახების შემადგენლობა. სადაც აღრიცხულია ოჯახი, ოჯახის სრული შემადგენლობა, მითითებულია მათი ტელეფონები და საცხოვრებელი ადგილი, აღნიშნული მონაცემები 385 ოჯახზე გაგზავნილია სამინისტროში.

მ/წელს მოწვეული და ჩატარებული იქნა სარეზერვო კომისიის 5 სხდომა და თანხები გაცემულია იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული, კერძოდ ონკოლოგიურ ავადმყოფებზე გაცემულია 56000 ლარი,

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური (შემდგომში “სამსახური”) თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, სამსახურის დებულების, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სამსახური შედგება

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (სამსახურის უფროსი), მეორადი სტრუქტურული ერთეულის (განყოფილება) და მოხელეებისაგან. სამსახურის განყოფილებები: ა) ბიუჯეტის დაგეგმარების, ფორმირებისა და ხაზინის განყოფილება, ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება.

სამსახურის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას და ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის შემუშავება. ბიუჯეტის შესრულება და შესრულების ანგარიშის მომზადება.

გასული წლის ოქტომბრის თვიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის (2020 წლის პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადი; ქონების გადასახადისაგან მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა) საფუძველზე სამსახურმა სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად გააგრძელა მუშაობა. მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროექტის საბოლოო სახით ფორმირებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში არაუგვიანეს 15.11.2019-ისა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს - საკრებულოს წარუდგინა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართულ-მასალებთან ერთად, ასევე საკრებულოს წარუდგინა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი.

ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით სამსახური აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ შემოსულობებს. სახაზინო სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ანალიზებს ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მდგომარეობას. ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში მზადდება ანგარიში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახადების და ნაშთის ცვლილების შესახებ. ოპერატიული ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარუდგინება სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას. სამსახურის მიერ ასევე მზადდება ბიუჯეტის შესრულების კვატრტალური მიმოხილვა ნაზარდი ჯამით, რომელიც ვადებში ეგზავნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. რაც შეეხება ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და ანგარიშგებას, 2019 წელს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიში თანდართულ მასალებთან ერთად საკრებულოს წარუდგინა დაწესებულ ვადებში 2020 წლის 1მარტამდე. (თან ერთვის მოხსენებითი ბარათი 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით).

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2021-2024 წლებისათვის პრიორიტეტებისა და დოკუმენტის შედგენის მიზნით მუშაობა დაიწყო 2020 წლის 1 მარტიდან სამსახურის მიერ მომზადდა მერის სამართლებრივი აქტის პროექტი, რითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, დამტკიცდა საბიუჯეტო კალენდარი, განისაზღვრა წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის კოდეზი, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N 2-25 06.03.2020 2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით. მუნიციპალიტეტმა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის

შესაბამისად ფინანსთა სამინისტროდან მიიღო ინფორმაცია დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი პარამეტრების შესახებ. სამინისტროდან და შესაბამისი სამსახურებიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განისაზღვრა შემოსულობებისა და გადასახადების ზღვრული მოცულობა. სამსახურის მიერ მომზადდა საბიუჯეტო განაცხადის ფორმები, რომელიც დაეგზავნა საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად 5 ოქტომბერს მიღებული პარამეტრების (დასაგეგმი დღე, საგადასახადო შემოსავლები, მიზნობრივი ტრანსფერი) გათვალისწინებით მომზადდა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად და პრიორიტეტების დოკუმენტთან (2021-2024) წარედგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ/წლის 15 ნოემბრამდე. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა შენიშვნებით დაბრუნებული ბიუჯეტის პროექტის დაზუსტებაზე, რომელიც საკრებულოს დაუბრუნდება არაუგვიანეს მ/წლის 10 დეკემბრისა.

2020 წლის განვლილ პერიოდში გრძელდებოდა მშაობა ბიუჯეტის შესრულების კუთხით, როგორც შემოსულობების და გადასახდელების, ასევე ნაშთის ცვლილებების კუთხით (თან ერთვის მოხსენებითი ბარათი მ/წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ).

სამსახური ამზადებს პერიოდულ სტატისტიკურ ინფორმაციას ერთიანი მუნიციპალურ ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მონაცემებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ კონსოლიდირებული სახით. სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ბუღალტრული აღრიცხვა-მანგარიშგება. სამსახურის მიერ დგება პერიოდული და წლიური საბიუჯეტო ანგარიშები (ბალანსი დანართი ფორმებით და სხვა).

ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 დღისა ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვარტალური და ყოველთვიური განწერა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს სამსახური ამზადებს საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ პროგრამების მეშვეობით (ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემა). ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში გადასახდელების გადახდა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში.

სამსახური მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კომისიებისა და საბჭოების მუშაობაში (სატენდერო კომისია, მიღება-ჩაბარების კომისია, სოციალურ საკითხთა საბჭო, სარეზერვო ფონდის საბჭო, ინვენტარიზაციის კომისია).

სამსახური ახორციელებს ოფიციალურ კორესპოდენციებზე მუშაობას ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

სამსახური თავის საქმიანობაში ითვალისწინებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტის ჩატარების შედეგად მოცემულ რეკომენდაციებს.

მნიშვნელოვანი სიახლეებია 2021 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარშვების სფეროში. ინერგება ახალი საერთაშორისო სტანდარტებით მუშაობა. სამსახურის შესაბამისი მოხელეები ჩართულნი არიან სახელმწიფო ხაზინის და საქართველოს ფინანსთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სწავლებაში, ასევე ა(ა)იპ-ების ბუღალტრთა გადამზადება დაგეგმილია ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში.

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტს, ბიუჯეტი როგორც მთავარი ფასეული დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების თავისი არსით არის პროგრამული, რომელიც წარმოადგენს საბოლოო და შუალედურ შედეგებზე ორიენტირებულ დაგეგმვას. ამასთანავე იკვეთება სხვადასხვა მიდგომები, როგორცაა სამოქალაქო ბიუჯეტი, გენდერული ბიუჯეტი და სხვა.

სამოქალაქო ბიუჯეტი გულისხმობს მოსახლეობის ჩართვას ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, ხოლო გენდერული ბიუჯეტის მიზანია საბიუჯეტო პოლიტიკის გენდერული პერსპექტივით დანახვა.

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესებიც ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს, რაზედაც მიმდინარეობს კომპლექსური გუნდური მუშაობა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული კანონებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს, განსაზღვრავენ საქმიანობის შინაარსს, მის მიმართულებებს და პრიორიტეტებს.

2020 წლის განვლილ პერიოდში ეკონომიკური სამსახურის უპირველესი ამოცანა იყო ადგილობრივი შემოსავლების საბიუჯეტო პარამეტრების შესრულება, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება,

2020 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ მომზადდა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილული იქნა საკითხები, რომლებიც შეეხებოდა მუნიციპალიტეტზე ქონების გადმოცემის საკითხს და უზურფრუქტით გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ქონებებს, რომლებიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციონირებისათვის, ამავე პერიოდში სამსახურის მიერ მომზადდა მუნიციპალური ქონებების უზურფრუქტით და იჯარის ფორმით გადაცემა, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური ადმინისტრირებას უწევს საბიუჯეტო შემოსავლების ისეთ დარგებს, როგორცაა ქონების იჯარა, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, დაგვა-დასუფთავების მოსაკრებელი, ქონების გადასახადი და სხვა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 13905,8 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 9797,2 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 704,5 %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 400,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 683,1 ათ.ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა იყო 6453,5 ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი 5083,7 ათ.ლარი .გეგმა შესრულდა 78,7%-ით.

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 6790,5 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3743,4 ათ ლარი, ანუ გეგმის 51,1 %, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 692,9 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 265,2 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 38,2%-ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 261,8 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 287,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 109,6 %-ით, მათ შორის: რენტა გეგმა იყო 100,0 ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი არის 78,7 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 78,7%-ით. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 50,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 71,0ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 1,5 %-ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 5,0 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 3,3 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 6,7%-ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 15,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 19,5 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 13 %-ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 20,0ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 13,1ათ. ლარი ანუ გეგმის 6,5 %, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 101,7%-ით. (გეგმა 165,0 ათ.ლარი, ფაქტი 167,9 ათ.ლარი)

დამთავრდა 2020 წლის სტატისტიკური ანგარიშების დოკუმენტაციის მომზადება, ამჟამად მიმდინარეობს მისი შესწავლა და დამუშავება.

სამსახური სერიოზულ ყურადღებას უთმობს მუნიციპალური ქონების საიჯარო წესით გაცემულ საკითხებს, დღეისათვის მოქმედებს 29 საიჯარო ხელშეკრულება, საიდანაც ყოველთვიურად ბიუჯეტი იღებს გარკვეულ შემოსავალს, ასევე გაფორმდა უსასყიდლო უზურფრუქტით მუნიციპალური ქონების გადაცემის 4 ხელშეკრულება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციასთან.

სამსახურის მიერ მომზადდა და ჩატარდა 6 ელექტრონული აუქციონი, გაიყიდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული 5-ერთეული სატრანსპორტო საშუალება და ჩატარდა ერთი ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობის ფართის ნაწილის მრავალწლიანი იჯარით გაცემის მიზნით.

ეკონომიკის სამსახური სერიოზულ ყურადღებას უთმობს ინვესტორების მოძიებას და ინვესტიციების მოზიდვის საქმეს. სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში, რომელშიც მონაწილეობდა მხარეში შემავალი ყველა მუნიციპალიტეტი. ეკონომიკის სამსახურმა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG)“ და მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო გამოცხადებულ კონკურსში. რის შედეგადაც ცაგერის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა და მოიპოვა 328652 ლარი. აღნიშნული თანხით კეთდება სოფელ საირმის ბუნებრივ სვეტებიან ძეგლებთან მისასვლელი ბილიკები, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

მიმდინარე წელს სამსახურს მოუწია სერიოზული ყურადღება დაეთმო ისეთი საკითხისათვის როგორცაა ადრეულ წლებში დარეგისტრირებული მუნიციპალური ქონების ხელახალი რეგისტრაცია, რადგან იმ პერიოდში არსებული სუსტი ტექნიკური საშუალებების გამო ფიქსირდებოდა გადაფარვები სხვადასხვა კერძო სუბიექტების ტერიტორიაზე. გამომდინარე აქედან უკვე გასწორდა მუსიკალური სკოლის და რაიონული კულტურის სახლის შენობები. გასწორების პროცესშია წიფერჩის ადმინისტრაციული შენობის კოორდინატები, აღნიშნული საქმიანობა გრძელდება, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში.

მომზადებულია სხვადასხვა სახის 310-მდე ინფორმაცია და კორესპოდენცია, რომელიც ეხება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს.

ასევე სამსახურის მიერ მომზადდა და საკრებულოზე იქნა განხილული 35-მდე საკითხი.

გარკვეული შეფერხებები ფიქსირდება დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების და გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან ქირის გადაუხდელობის კუთხით, თითქმის ყველა იურიდიულ პირთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება მოსაკრებლის გადასახადის თაობაზე, ასევე ა(ა)იპ კომუნალური მეურნეობა აწარმოებს თანხის ამოღებას მოსახლეობიდან.

ცაგერის მუნიციპალიტეტმა მიმდინარე წელს გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 251 ხელშეკრულება ,აქედან გამარტივებული შესყიდვა

(სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ჩათვლით)184 ხელშეკრულება.ელექტრონული ტენდერი 57 ხელშეკრულება,კონსოლიდირებული ტენდერი-10 ხელშეკრულება.

I. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N 2630 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს 19 ხელშეკრულება თანხით 7 232 994,28 (შვიდიმილიონორას ოცდათორმეტი ათასცხრაათხმოცდათოთხმეტი ლარი და ოცდარვა თეთრი)ლარი. აღნიშნული ხელშეკრულებებიდან სრულად დასრულებულია 7 ხელშეკრულება .

1.ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.აღვსა და სოფ. ქვედა ცაგერში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობის შესყიდვა ღირებულებით - 91383,01 (ოთხმოცდათერთმეტიათასსამასოთხმოცდასამი ლარი და ერთი თეთრი)ლარი.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ლასურიაშისა და სოფ. დეხვირის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა. თანხით-110500 (ასათიათასხუთასი)ლარი.

3.ქ.ცაგერში აღმაშენებლის N77-ში და აღმაშენებლის N41-ში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა თანხით-136785,53 (ასოცდათექვსმეტიათას შვიდასოთხმოცდახუთი ლარი და ორმოცდაცამეტი თეთრი)ლარი.

4. სოფ.ქვედა ცაგერში"ახალდასახლების "უბნის გზის ასფალტირების სამუშაოების შესყიდვა თანხით- 781122,04 (შვიდასოთხმოცდაერთიათასასოცდაორი ლარი და ოთხი თეთრი)ლარი.

5. ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფელ ქვედა ცაგერში ე.წ „გიორგავა - ღელის“ გასწვრივ სოფ.გვესოს მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა თანხით- 447716,67 (ოთხასორმოცდაშვიდიათას შვიდასთექვსმეტი ლარი და 67 თეთრი)ლარი.

6. ქ.ცაგერში დასასვენებელი სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა თანხით - 86609,06 (ოთხმოცდაექვიათასექვსასცხრაღარის და ექვსი თეთრი) ლარი.

7. ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფ.ლასურიაშისა და სოფ.მახაშის სასოფლო გზების აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა თანხით- 84850 (ოთხმოცდაოთხიათასრვაასორმოცდაათი)ლარი.

სამუშაოები მიმდინარეობს 8 ხელშეკრულების ფარგლებში.

1. „ქ.ცაგერის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები“ თანხით- 588530(ხუთასოთხმოცდარვაათას ხუთასოცდაათი)ლარი.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ზუბისა და სოფ.ჩხუტელის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის და სოფ.ლასხანის წყალმომარაგების მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა თანხით-135900 (ასოცდაოთხთმეტიათასცხრაასი) ლარი.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის ქ.ცაგერისა და სოფელ გვესოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა თანხით- 1 435 178 (ერთიმილიონოთხას ოცდათხუთმეტი ათასსამოცდათვრამეტი)ლარი.

4. სოფელ სპათაგორში სოფლის ცენტრის, სკოლისა და ლემკედის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით - 372439,63 (სამასსამოცდათორმეტიათას ოთხას ოცდაცხრამეტი ლარი და 63 თეთრი) ლარი.

5. სოფელ უსახელოში სოფლის ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით- 159032,90 (ასორმოცდაცხრამეტიათას ოცდათორმეტი ლარი და 90 თეთრი) ლარი.

6. სოფელ ორბელში ზედა ორბელში „ჩეროს“ უბანში და „სვანიძეების“ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა თანხით-618586 (ექვსასთვრამეტიათას ხუთას ოთხმოცდაექვსი) ლარი.

7. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ჭალისთავის, წიფერჩის, ბარდნალის, ლარჩვალის და ქვ.ცაგერის ნაწილის წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა თანხით- 1599529.31 (ერთიმილიონ ხუთასოთხმოცდაცხრამეტიათას ხუთასოცდაცხრა ლარი და 31 თეთრი)ლარი.

8. სოფელ ჩხუტელში ასფალტირებული ცენტრალური გზიდან საჯარო სკოლის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით- 318603(სამასთვრამეტიათასექვსასსამი)ლარი.

შეწყდა 4 ხელშეკრულება:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.დებვირის წყალმომარაგების ჭაბურღილისა და მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა თანხით - 153084,40 (ასორმოცდაცამეტიათას ოთხმოცდაოთხი ლარი და 40 თეთრი)ლარი.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ნაკურალეშის ჭაბურღილისა და წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა თანხით-136440,33 (ასოცდათექვსმეტიათასოთხასორმოცი ლარი და 33 თეთრი) ლარი.

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ლასურიამის ჭაბურღილისა და წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა თანხით - 148256,41 (ასორმოცდარვაათასორასორმოცდათექვსმეტი ლარი და 41 თეთრი) ლარი.

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.უსახელოს ჭაბურღილისა და წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა თანხით- 119399,69 (ასცხრამეტიათასსამას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 69 თეთრი) ლარი.

II. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს 62 ხელშეკრულება- 594500 (ხუთასოთხმოცდა ხოთხმეტიათასხუთასი)ლარი, (2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში გაფორმებულია 2 ხელშეკრულება) აქედან დასრულებულია 54 ხელშეკრულება , შეწყდა -1 ხელშეკრულება და სამუშაოები მიმდინარეობს 7 ხელშეკრულების ფარგლებში. ხელშეკრულება გასაფორმებელია 4 პროექტზე:

1. სოფლის პროგრამის ფარგლებში სოფელ ორხვისათვის სასმელი წყლის მიღების შესყიდვა ელექტრონული ტენდერით-1000 (ერთიათასი) ლარი.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფ.მახაშის ახალი წყალსადენის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა -12000(თორმეტიათასი) ლარი.
- 3.სოფ.ბარდნალის შიდა სასოფლო გზის სარემონტო სამუშაოები თანხით-2500(ორიათასხუთასი) ლარი,
- 4.სოფ.წილამიერში შიდა სასოფლო გზისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები თანხით-10000(ათიათასი) ლარი.

III.საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის N 551 განკარგულებით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხით მუნიციპალიტეტს გაფორმებული ხელშეკრულება:

1.“ქ.ცაგერში მწვანე თეატრიდან მურის ციხესთან მისასვლელი ბილიკებისა და კიბეების მოწყობის შესყიდვაზე“- ღირებულებით 397 586,25 (სამასოთხმოდცაჩვიდმეტიათას ხუთასოთხმოდცა ექვსი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარი.

IV.საქართველოს მთავრობის 2020წლის 19 აგვისტოს N1573 განკარგულებით 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსებიდან მუნიციპალიტეტს გაფორმებულია ხელშეკრულება:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საირმეში ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია თანხით -293999,69 (ორასოთხმოდცაცამეტიათასცხრაას ოთხმოდცაცხრამეტი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი)ლარი.

V.საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირებით მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს 2 ხელშეკრულება:

1.“ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ლაცორია, ორბელი, ორხვი, საირმე, სურმუში, უსახელო, უცხერი) საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე თანხით -42774,72 (ორმოცდაორიათასშვიდასსამოცდა თოთხმეტი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი)ლარი.

2. „ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში (აღვი, დეხვირი, ზუბი, ლუხვანო, ნასპერი, ჩხუტელი) საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე“-თანხით -

27789 (ოცდაშვიდიათასშვიდასოთხმოცდაცხრა)ლარი.საერთო ღირებულებით-70563,72 (სამოცდაათიათასხუთასსამოცდასამი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი) ლარი.ხელშეკრულებების ფარგლებში სამუშაოები დასრულებულია.

VI. 2017 წლის 11-12 მაისის სტიქია----- მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს 6 ხელშეკრულება ღირებულების 356616 (სამასორმოცდათექვსმეტიათასექვსასთექვსმეტი) ლარი. აქედან 4 ხელშეკრულება სრულად დასრულებულია .

1. ცაგერის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების (გზები) რეაბილიტაციის სამუშაოები (აღვი, ზუბი) თანხით- 56054 (ორმოცდათექვსმეტიათას ორმოცდათოთხმეტი) ლარი.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების (გზები) რეაბილიტაციის სამუშაოები (კურცობი, ორბელი-ლაჯანა) თანხით-146212 (ასორმოცდაექვსიათასორასთორმეტი) ლარს.

3. ცაგერის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების (გზები) რეაბილიტაციის სამუშაოები (გაგულეჩი, ხოჯი-უცხერი, ლაცორია, ცხეთაწილამიერი) თანხით- 73245 (სამოცდაცამეტიათასორასორმოცდახუთი) ლარი.

4. ცაგერის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების (გზები) რეაბილიტაციის სამუშაოები (უცხერი, ღვირიში, ნასპერი,) თანხით- ს 30752 (ოცდაათიათასშვიდასორმოცდათორმეტი) ლარი. სამუშაოები მიმდინარეობს 2 ხელშეკრულების ფარგლებში.

1.ცაგერის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების (გზები) რეაბილიტაციის სამუშაოები (ტვიში, ნაკურალეში) თანხით-50313 (ორმოცდაათიათასსამასცამეტი) ლარი.

2.ცაგერის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფ.ოყურემის სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით-21422 (ოცდ ერთათასოთხასოცდ ორი) ლრი.

VII. სტიქია (გადაუდებელი აუცილებლობით) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1. ცაგერის მუნიციპალიტეტში კურორტ "ლაშიჭალის "ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული გზის შეკეთების სამუშაოების შესყიდვა თანხით-98200 (ოთხმოცდათვრამეტიათასორასი) ლარი.

VIII. გრანტი (გაეროს განვითარების პროგრამის ფრგლებში)

- 1.საინფორმაციო-საიმიჯო გრაფიკული 2 (ქრონომეტრჟით 3-4 წთ-იანი და 50 წმ-იანი) ვიდეორგოლის დამზადების მომსახურეობა ღირებულებით-16000(თექვსმეტიათასი) ლარი.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრისათვის საოფისე ავეჯის (კომპიუტერის მაგიდა 130*55სმ-2 ცალი;კარადაზომით 180*110სმ-2ც;და ტელევიზორის (მახასიათებელი ;65 დიუმანი,4Kგაფართოება,ხედვის კუთხე 170 ან მეტი; USB და ვიდეოფაილის წამკითხველით,კონტრასტულობა1:4000;სმარტტვ)შესყიდვა თანხით-8720 (რვაათასშვიდასოცი)ლარი.
3. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 5 (ხუთი) ცალი კომპიუტერის და 3(სამი) ცალი პრინტერის შესყიდვა თანხით-7739 (შვიდიათასშვიდასოცდაცხრამეტი)ლარი.
4. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისათვის კონდიციონერების შესყიდვა-მონტაჟი თანხით-5600(ხუთიათასექვსასი)ლარი.
5. ცაგერის მუნიციპალიტეტში ინდივიდუალური ტურისტული საგზაო ნიშნების განთავსების სამუშაოების შესყიდვა თანხით-10600(ათიათასექვსასი) ლარი.
6. ლეჩხუმის ტურისტული საინფორმაციო ფლაერების და ბროშურების დაკაბადონება-ბეჭდვის მომსახურეობის შესყიდვა თანხით-1250(ერთიათასორასორმოცდაათი)ლარი.
- 7.ლეჩხუმის ტურისტული საინფორმაციო სტენდის მოწოდება - მონტაჟი თანხით-4440 (ოთხიათასოთხასორმოცი)ლარი.

გრანტი- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) ხელშეწყობით.

- 1.მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს მოწყობის სამუშაოების შესყიდვა თანხით- 45371(ორმოცდახუთიათასსამას სამოცდათერთმეტი)ლარი.

ასევე გაფორმებულია სხვადასხვა მომსახურებაზე და საქონლის შესყიდვაზე ხელშეკრულებები.

აღნიშნული შესყიდვები განხორციელდა შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას. სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, მერიის დებულების, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

2020 წლის განვლილ პერიოდში ზედამხედველობის სამსახურმა ზედამხედველობა-ინსპექტირება გაუწია მუნიციპალიტეტში 2019 წელს დაგეგმილი გარდამავალი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას, კერძოდ: ქალაქ ცაგერში კეჭნარის სკვერის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (შემსრულებელი უსფ

„ინშანთ საქართველო Inshaant Georgia“), რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 754 920 (შვიდასორმოცდათოთხმეტი ათას ცხრაასოცი) ლარს, პროექტი დასრულდა 2020 წლის მარტის თვეში და გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო შემსრულებელი მიმდინარე პერიოდში დაჯარიმდა 73 982,16 (სამოცდაცამეტი ათას ცხრაასოთხმოცდაორი ლარი და 16 თეთრი) ლარით, ასევე ინსპექტირებას უწევდა 2017 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული გზების რეაბილიტაციის სამუშაოებს (შემსრულებელი „გამა+“), რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შედგენდა 114 732 (ასთოთხმეტი ათას შვიდასოცდათორმეტი) ლარს, დასრულდა 2020 წლის მაისის თვეში, შემსრულებელი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადების დარღვევის გამო მიმდინარე პერიოდში დაჯარიმდა 3212,44 (სამი ათას ორასთორმეტი ლარი და 44 თეთრი) ლარით.

ზედამხედველობის სამსახური ზედამხედველობა-ინსპექტირებას უწევდა და უწევს 2020 წლის მიმდინარე და გარდამავალი 26 ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობას, საერთო თანხით 7 945 541,64 (შვიდი მილიონ ცხრაასორმოცდახუთი ათას ხუთასორმოცდახუთი ლარი და 64 თეთრი) რომელთაგან დასრულებულია 16 პროექტი, დასრულების ეტაპზეა 5 და გარდამავალია 5 პროექტი.

მიმდინარე წელს შესასრულებელი პროექტების ღირებულება შეადგენს 4 227 982,32 (ოთხი მილიონ ორასოცდაშვიდი ათას ცხრაას ოთხმოცდაორი ლარი და 32 თეთრი) ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 949 861,09 (ორი მილიონ ცხრაასორმოცდაცხრა ათას რვაასსამოცდაერთი ლარი და 09 თეთრი) ლარი, შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 69,8 %. გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო დაჯარიმდა 7 მეწარმე, საჯარიმო სანქციამ შეადგინა 15784,58 (თხუთმეტი ათას შვიდასოთხმოცდაოთხი ლარი 58 თეთრი) ლარი. სულ მიმდინარე და გარდამავალი პროექტების ზედამხედველობა-ინსპექტირებისას 2020 წელს განხორციელებულმა საჯარიმო სანქციებმა სულ შეადგინა 92 979,18 (ოთხმოდათორმეტი ათას ცხრაასსამოცდაცხრამეტი ლარი და 18 თეთრი) ლარი.

2020 წელს ზედამხედველობის სამსახურმა ინსპექტირება გაუწია სოფლის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ 594 500 (ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ხუთასი) ლარის ღირებულების ხელშეკრულებებს, რომელთა საკასო შესრულებამ შეადგინა 522 190,53 (ხუთასოცდაორი ათას ასოთხმოცდაათი ლარი და 59 თეთრი) ლარი, შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 87,8%.

ზედამხედველობის სამსახური ინსპექტირებას უწევდა კოვიდ 19 -ის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული რეგულაციების დაცვის პროცესს სასკოლო დაწესებულებებში, საოჯახო სასტუმროებსა და სამშენებლო ობიექტებზე. გადამოწმდა 26 სკოლა, 10 საოჯახო სასტუმრო და ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი.

მიმდინარე პერიოდში ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ. ცაგერში კოსტავას ქუჩაზე განთავსებული 344 მ² კომერციული ფართი.

სამსახურმა რეაგირება მოახდინა ყველა მომართვაზე.

ზედამხედველობის სამსახური აგრეთვე აქტიურად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მიერ ბრძანებით შექმნილი მიღება-ჩაბარების კომისიისა და საგარანტიო თანხების დაბრუნების ინსპექტირებასა და საკომისიო წესით განხილვაში.

ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა მძიმე სოციალური პირობებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერია ყოველწლიურად ადგილობრივ ბიუჯეტში ითვალისწინებს გარკვეულ თანხას მოსახლეობის ერთჯერადი სოციალური დახმარებებისათვის.

2020 წლის დასაწყისში შემუშავებული იქნა და საკრებულოს მიერ 29 იანვარს დამტკიცდა ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი (დადგენილება N4), რომელიც ითვალისწინებს დახმარებების გაცემას მძიმე ავადმყოფობებსა და სოციალურად დაუცველ შემდეგ ჯგუფებზე:

1. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება.
2. დიალიზზე დამოკიდებული პაციენტთა დახმარება.
3. სამედიცინო (მძიმე დაავადებების დროს) მომსახურეობის დაფინანსება.
4. მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა.
5. გარდაცვლილთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსება.
6. ომის ვეტერანთა დახმარება.
7. მარტოხელა მშობლების დახმარება.
8. ობოლი ბავშვების დახმარება.
9. ხანდაზმულთა დახმარება.
10. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება.
11. უსახლკარო ბენეფიციართა მატერიალური დახმარება (ბინის ქირით უზრუნველყოფა).
12. სოციალურად დაუცველი ორსულების დახმარება.
13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მატერიალური დახმარება.
14. უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის საშობაო, სააღდგომო საჩუქრებით დახმარება.
15. ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა ერთჯერადი დახმარება.
დახმარებები გაიცემა სპეციალურად შექმნილი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

2020 წლის იანვრიდან დღემდე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში შემოსულია 715-მდე განცხადება. 30 ბენეფიციარს ეთქვა უარი თხოვნაზე. მ/წლის ბიუჯეტიდან თებერვლის (ოქმი N1) თვეში დაკმაყოფილდა 230 განცხადება (181- 2019 წლის, 49 – 2020 წლის). განსახილველია 180 განცხადება.

სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესის მიხედვით დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიცა:

- ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება 132 ოჯახზე - 15350 ლარი.
- მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის მიზნით მრავალშვილიან 25 ოჯახზე გაიცა - 22600 ლარი.

- დიალიზზე დამოკიდებულია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 13 პაციენტი, რომელთა დახმარებისათვის დებულებით გათვალისწინებულია თვეში თითოეულზე 200 ლარი. დღემდე ამ მიზნით გაცემულია 24800 ლარი.
- გაცემის წესში გათვალისწინებული გვაქვს ორსულთა დახმარება და მწლის 10 თვის განმავლობაში **12** სოციალურად დაუცველ ორსულს გავუწიეთ დახმარება თითოეულს თვეში 100 ლარის პროდუქტით. ამ მიზნით გაიცა სულ 4000 ლარი.
- გაცემის წესში გათვალისწინებული გვაქვს უსახლკარო, სოციალურად დაუცველი, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება/დაკმაყოფილება საცხოვრებელი ბინის ქირით. ამ მიზნით ჩვენთან რეგისტრირებული არის 6 ოჯახი, რომლისთვისაც გავეცით ბინის ქირის საფასური დღემდე სულ 6240 ლარი (ერთი თვე - 130 ლარი).
- დიდი სამამულო ომის **1** ვეტერანზე 9 მაისთან დაკავშირებით გაიცა ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. ამავე დღის აღსანიშნავად ვეტერანს (ვენედიქტე კაბოსნიძე) გადაეცათ სასაჩუქრე პაკეტი პროდუქტების სახით სულ 100 ლარის ღირებულების. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 46 ვეტერანზე ვეტერანის დღესთან (17 ოქტომბერი) დაკავშირებით გავეცით 6900 ლარი. თითოეულზე 150 ლარი.
- გარდაცვლილთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსებისათვის (მარტოხელა მიცვალებული, რომელსაც არ გააჩნია პირველი რიგის მემკვიდრე) დაკრძალვის ხარჯის გამწევ **7** პიროვნებაზე გაიცა თანხა თითოეულზე 250 ლარი, სულ 1750 ლარი.
- ხანდაზმულთა დახმარებისათვის(90 წელს ზევით) 70 მოქალაქეზე გაცემულია 14300 ლ.
- მარტოხელა დედებზე (4 მოქალაქე) გაიცა თითოეულზე 250 ლარი, სულ 1000 ლარი.
- 18 წლამდე ასაკის 8 შშმ ბავშვზე გავეცით დახმარება თითოეულზე 250 ლარი, სულ 2000 ლარი.
- ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ 2 პიროვნებას გავუწიეთ ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულს 250 ლარის ოდენობით, სულ 500 ლარი.

2020 წელში მძიმე ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურებისათვის სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესის მე-8 მუხლის შესაბამისი პუნქტების მიხედვით გაიცა სულ **431** პირზე 111795.77 ლარი. მათ შორის ოპერაციული მომსახურებისათვის 86 პიროვნებაზე 47111.52 ლარი. ძვირადღირებული გამოკვლევებისათვის 45 კაცზე გაიცა 15309.25 ლარი. ქიმიოთერაპიაზე (3) – 2125 ლარი. ონკოლოგიური 28 პაციენტისათვის 6900 ლარი. ღვიძლის ციროზის, ასციტის შემთხვევებში 4 პირზე-700 ლარი. შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის (66) - 9500 ლარი. ეპილევსიით დაავადებულებზე (11) – 1800 ლარი. პარკისონით დაავადებულ პაციენტებზე (6)

– 900 ლარი. თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებულებზე (54) – 8550 ლარი. სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებზე (9) – 1450 ლარი. გულის იშემიური დაავადებებით (61) – 8800 ლარი. ტოქსიკური ჩიყვით დაავადებულებზე (1) – 150 ლარი. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების მქონე პაციენტებზე (1) – 100 ლ. ცერემბრალური დამბლით დაავადებულებზე (9) – 1500 ლ. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მოშლის მქონე დაავადებულებზე (27) – 3750 ლ. უბედური შემთხვევების დროს მიღებული ტრავმებით (4) – 700 ლ. კანის მძიმე დაავადებების მქონე პაციენტებზე (3) – 400 ლ. ქრონიკული, არტერიული და ვენური სისხლის მიმოქცევის მოშლით (5) – 800 ლ. თანდაყოლილი ანომალიები (2) – 300 ლ. თირკმლის დაავადებები მძიმე მიმდინარეობით (0) – ლარი. უსინათლო ინვალიდები (6) – 950 ლ.

სოციალურად დაუცველი და უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის (უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარები/თანამშრომლები - 123 კაცი) გავაცივით სააღდგომო, საშობაო საჩუქრები 3742.10 ლარის.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი უმწეოთა სასადილო (ქ.ცაგერი-80 და სოფ.ლაჯანა-38). სასადილოები ემსახურება 118 ბენეფიციარს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დღეის მდგომარეობით დახარჯულია 96405.49 ლარი.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2019 წლის დეკემბერში მომზადდა შიდა აუდიტის 2020 წლის წლიური გეგმა, რომელიც შედგენილია შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის და დამტკიცებულია მერის მიერ. აღნიშნული კანონის თანახმად შიდა აუდიტი აფასებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემას, რომელიც დანერგილია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების კანონიერ, გამჭვირვალე, ეკონომიურ ეფექტიან პროდუქტიულ გამოყენებას. მიზნად ისახავს დადგინოს თუ რამდენად ეფექტიანად მუშაობს აღნიშნული სისტემა და რა წვლილი შეაქვს მას დაწესებულების წინაშე არსებული მიზნების მიღწევაში.

შიდა აუდიტი აფასებს და აუმჯობესებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, რისკების მართვის ეფექტიანობას, რაც შესაბამისად აუმჯობესებს დაწესებულების წინაშე მდგარ ამოცანების შესრულებას.

შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით

არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესის მიზნის მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში.

შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკების გამოვლენას და რისკებისადმი შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემის დახვეწას, ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად.

დაწესებულების შიგნით არსებული ყველა სისტემას, პროცესი, მოვლენა და საქმიანობა, შეიძლება წარმოადგენდეს შიდა აუდიტორული შემოწმების საგანს. შიდა აუდიტი, ასევე წარმოადგენს დამოუკიდებელ და ობიექტურ საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც ხელმძღვანელობს დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვაში, შიდა კონტროლის და მმართველობითი პროცედურების გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინერგება ახალი სისტემები და პროცედურები.

შიდა აუდიტის სუბიექტის მიზანია მეტი ყურადღება მიექცეს რისკიან სფეროებში იმ რესურსების გამოყენებას, რაც შიდა აუდიტის განყოფილებაშია.

წლიურ გეგმაში განსაზღვრული გვაქვს შიდა აუდიტის შემოწმების სახე და რესურსების განაწილება, წლიური გეგმა, ასევე მოიცავს შიდა აუდიტორული შემოწმების ვადებს, სადაც არის განსაზღვრული წინასწარ დაგეგმილი აუდიტორული შემოწმების ხანგრძლივობა.

აუდიტი ითვალისწინებს აუდიტის ობიექტის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის გაკეთებას, რეკომენდაციების შეიმუშავებასა და აუდიტის ანგარიშის გაცემას. პროცედურების ჩატარებას ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ასახულ თანხებზე და სათანადო ახსნა

განმარტებებზე საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურკანონის შესაბამისად ეხმარება მუნიციპალიტეტს მიზნების მიღწევაში, მის წინაშე არსებული რისკების ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებით.

სამსახური ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასებას. სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ინსპექტირების სამსახურის ფუნქციას ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის, აგრეთვე აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურობის დაცულობის შეფასება.

ამ მიზნით შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა 2020 წლის წლიური გეგმების შესაბამისად ჩაატარა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 6 არასამეწარმეო / არაკომერციული იურიდიული პირის 2019 წლის საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი კერძოდ, შემოწმდა:

- 1.ა(ა)იპ,,ცაგერის კულტურის ცენტრი.“
- 2.ა(ა)იპ,,ისტორიული მუზეუმი“.
- 3.ა(ა)იპ,,ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი“.
- 4.ა(ა)იპ,,ცაგერის სასპორტო სკოლა“.
- 5.ა(ა)იპ,,ცაგერის საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“.
- 6.ა(ა) იპ „ფრენბურთის კლუბი ცაგერი“.

ქვეყანაში გავრცელებული პანდემიის გამო ვერ მოხერხდა შემოწმება 2020 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული მერიის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში.

1.ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული „საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური“.

2.პირველადი სტრუქტურული ერთეული „ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური“.

3. პირველადი სტრუქტურული ერთეული „ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური“.

რომელიც გათვალისწინებული იქნება 2021 წლის წლიურ სამუშაო გეგმაში.

აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა - ნაკლოვანებები: საბიუჯეტო რესურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების მართვაში. ამ მიმართულებებით ხარვეზები გამოვლინდა თითქმის ყველგან განსაკუთრებით კი დაგეგმვის ეტაპზე. ასევე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით. რიგ შემთხვევებში აუდიტის ობიექტები არ აღგენენ ფინანსურ ანგარიშგებას; არ ახდენენ ბუღალტრულ გატარებებს; არასწორად აღრიცხავენ სამეურნეო ოპერაციებს. არ სრულდება წინა შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციები. აღნიშნული ხარვეზების აღნიშვნის მიზნით, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ გაცემულია 25 რეკომენდაცია.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ღირებულების წარმოჩენა და სარგებლის მუდმივი ზრდა სამსახურის უმთავრესი ამოცანაა. სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც დაადგინა ხელმძღვანელობამ მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამსახურის წინაშე არსებული შიდა და გარე გამოწვევების ანალიზს, მათთან გამკლავების საუკეთესო გზების მოძიებას. სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების დროულ და ეფექტურად მიღწევაზე.

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის მიმდინარეობისას შიდა აუდიტის საქმიანობის ნებისმიერ შეზღუდვას ადგილი არ ჰქონია.

მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში მიუხედავად COVID 19 პანდემიისა გაწეული იქნა გარკვეული მუშაობა:

საგანმანათლებლო

- საგანმანათლებლო კუთხით მედია პროექტ „ეტალონთან“ თანამშრომლობით პროგრამა „ეტალონი განათლება“ ფარგლებში მოხდა მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების წარმატებულ ადამიანთა წარმოჩენის მიზნით, გამოჩენილი პიროვნებების შესახებ საინტერესო ინფორმაციების გამოქვეყნება ეტალონის ვებ გვერდზე, პროექტი ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.
- ჩატარდა სკოლებში მედია პროექტ „ეტალონის“ სასკოლო ტურები. მომზადებულია მუნიციპალური ტური, რომელიც წლის ბოლომდე გაიმართება.
- ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა ტრანსპორტირების მდგომარეობის მორიტორინგი.

კულტურის სფერო

- მაქსიმობის დღესასწაულის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, ჩატარდა საზეიმო კონცერტი.
- ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მოეწყო კულტურული ღონისძიებები.
- სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით ორგანიზება გაეწია ნამუშევრების ელექტრონულ გამოფენას.
- ილია ჭავჭავაძის დღეების პროგრამით ორგანიზება გაეწია საგურამოში გამართულ რაჭა ლეჩხუმის კულტურული პროგრამაში ცაგერის კულტურის ცენტრის კოლექტივების აქტიურ მონაწილეობას და სამხატვრო სკოლის ხალხურის რეჟის ნიმუშების გამოფენა გაყიდვას.
- სურათების გალერიაში მოეწყო სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენა.

სპორტი

- პანდემიის დროს მუნიციპალიტეტის ათ ვეტერან ფეხბურთელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით გადაეცათ სასურსათო ნობათი.
- ზაფხულის პერიოდში შესაბამისი რეგულაციების დაცვით მოეწყო მინი ფეხბურთის ტურნირები სოფელ ლაჯანასა და ქალაქ ცაგერში, რომელშიც

მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის სოფლების და ქალაქ ცაგერის 20 ზე მეტმა გუნდმა.

- მოეწყო ფეხბურთში მასტერ ლიგის (7X7)ზე მუნიციპალური ტურნირი , ორგანიზება გაეწია მუნიციპალური ჩემპიონის ცაგერის „ხვამლის“ გუნდის მონაწილეობას რეგიონალურ შეჯიბრებაში, სადაც გუნდმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.
- მოხდა გასული წლის შედეგების მიხედვით მუნიციპალიტეტის საუკეთესო სპორტსმენთა გამოვლენა და მათი დაჯილდოება შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და სამახსოვრო საჩუქრებით.

ახალგაზრდობა

- მოეწყო ქალაქ ცაგერში თამბაქოს საწინააღმდეგო აქცია.
- ორგანიზება გაეწია მუნიციპალიტეტის მრავალშვილიან ახალგაზრდა დედებისათვის დედის დღის მილოცვას და საჩუქრების გადაცემას.
- მოხდა ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ორგანიზებული ახალგაზრდობის აქტუალურ საკითხებზე სოციოლოგიურ გამოკითხვაში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა.
- ორგანიზება გაეწია 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირის ზურაბ ეფაძის საფლავის მონახულებას-გვირგვინით და ყვავილებით შემკობის ცერემონიალს.
- 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეს ორგანიზება გაეწია სოფელ ჩხუტელში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალის შემკობას გვირგვინითა და ყვავილებით.
- ორგანიზება გაეწია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა მონაწილეობას ქ.ქუთაისში გამართულ იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის ახალგაზრდულ ფორუმში.

ტურიზმი

- ლეჩხუმის ტურისტული ცნობადობის ამაღლების მიზნით სამსახურის მიერ მეგზურობა გაეწია საქათველოს პრეზიდენტის ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის ვიზიტს ლეჩხუმში ადგილობრივი ტურიზმის განვითარების მხარდაჭერის ფარგლებში.
- გაეროს მხარდაჭერის ფარგლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მუნიციპალიტეტში კერძოდ: მუნიციპალიტეტის ცენტრალურ გზებზე მოეწყო ტურისტული აბრები, მომზადდა ლეჩხუმის ტურისტული გზამკვლევი საოჯახო სასტუმროებისა და საოჯახო მარნების საინფორმაციო ბუკლეტებით, კეთილმოეწყო ტურისტული საინფორმაციო ცენტრი და

უახლოეს მომავალში კეთილმოეწყობა საინფორმაციო ცენტრის მიმდებარე ტერიტორია.

- მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების ვიზუალური აღრიცხვა.
- მოხდა ხელშეწყობა საქართველოს მედია საშუალებების წარმომადგენელთა მიერ საინფორმაციო ტურის განხორციელებაში ლეჩხუმის ტურისტული შესაძლებლობის პოპულარიზაციის მიზნით.
- სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დებულების შესაბამისად ხორციელდებოდა ქვემდებარე ა(ა)იპების (დარგების მიხედვით) საქმიანობის მონიტორინგი და მეთოდური დახმარება.
- სერიოზული სამუშაოების იქნა გაწეული ზემდგომი ორგანოებიდან შემოსული და მერიის მიერ დაწერილი სხვადასხვა კორესპოდენციების შესრულებისათვის.
- მომზადებული და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილული იქნა საკითხები საგანმანათლებლო, კუტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სფეროების აქტუალური პრობლემატიკის მიხედვით.
- სამსახურის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობა იღებენ კოვიდ 19 ინფექციის პრევენციულ ღონისძიებებში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა მნიშვნელობანი მუშაობა გასწია თანამშრომელთა შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით. ფართოდ ინერგება ახალი ტექნოლოგიები საჯარო მოხელეთა და მოსამსახურეთა 97% გამართულად მუშაობს ელექტრონული პროგრამებით. მათ შორის „edokument“-ით. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა, რომ მუნიციპალიტეტის მერია ფაქტიურად სრულად გადავიდა მმართველობით ელექტრონულ სისტემაზე, რამაც განაპირობა მიღებული დოკუმენტების, განცხადებების დამუშავებისა და განხილვის ოპერატიულობა. უფრო ადვილი გახდა დოკუმენტ მოძრაობის კონტროლი. აღნიშნულს განსაკუთრებით შეუწყობს ხელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული პროგრამა, რომელმაც გრანტის სახით უმნიშვნელო თანადაფინანსებით გადმოგვცა მძლავრი კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი. ამჟამად სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს პროექტის მეორე ფაზას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის უფრო მეტ ხელმისაწვდომობას ელექტრონული სერვისებისადმი.

ადმინისტრაციული სამსახური „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” - საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახორციელებს დელეგირებული უფლებამოსილებას მაღალმთიან რეგიონში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების საქმიანობასთან დაკავშირებით. 2020 წელს ჩატარდა სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი საბჭოს 12 სხდომა, სადაც განხილული იქნა 197 საკითხი. აქედან სტატუსი მიენიჭა 196 პიროვნებას. სხვადასხვა მიზეზით მოეხსნა და შეუჩერდა 314 ადამიანს. განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გადამოწმდა 2970 ადამიანის შესაბამისობა სტატუსთან.

ასევე დელეგირებული უფლებამოსილებას მიწების პროვადული და სისტემური რეგისტრაციის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით ფუნქციები, რომელიც მუნიციპალიტეტებმა უნდა განახორციელონ მარტო 2020 წლისათვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიწების რეგისტრაციის მოთხოვნით გადმოეგზავნა 2733 მიმართვა, რომელთაგან უკვე პასუხგაცემულია 2574, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. უნდა აღინიშნოს, რომ რაიონულ სასამართლოში წარმართა მხოლოდ 3 საქმე და აქედანაც მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

საერთოდ 2020 წლისათვის სასამართლოში წარმართა 14 საქმე, რომელთაგან 8 საქმე უკვე დასრულებულია, ხოლო 6 საქმე კიდევ წარმოებაშია, 8 დასრულებული საქმიდან ზოგიერთი შეწყდა მოსარჩელის მოთხოვნით, ხოლო ძირითადად დადგა განაჩენი, რომლის მიხედვითაც მერიის სასარგებლოდ დაკისრებულია 182 ათას ლარზე მეტი, აღნიშნული მოქცეულია აღსასრულებლად და უკვე ამოღებულია 28 ათას ლარზე მეტი. წინასწარი პროგნოზით ამჟამად წარმოებაში არსებული მიმდინარე საქმეებიდან მოსალოდნელია რამდენიმე ათასი ლარის დამატებით აკუმულირება მუნიციპალურ ბიუჯეტში.

მიუხედავად პანდემიისა, დისტანციურ რეჟიმში გრძელდებოდა ტრენინგების ჩატარება, რომელიც მოხელეთა პროფესიული განვითარებისაკენ იყო მიმართული. მერიაში 24 თანამშრომელს ჩაუტარდა დისტანციური ტრენინგები. ასეთივე ტრენინგები ჩატარდა მერიის სათათბირო ორგანოების მრჩეველთა საბჭო, მაღალმთიან რეგიონებში მუდმივად მცხოვრები საბჭოსა და შშმპ - საბჭოს გენდერული საბჭოს - წევრებისათვის.

საკმაოდ დაძაბული იქნება 2021 წელი. პანდემია ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული. მნიშვნელოვანი სამუშაოები გვექნება გასატარებელი ვაქცინაციასთან დაკავშირებით. 2021 წლის ოქტომბერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია, რომელიც ზუსტ დიაგნოზს დასვამს როგორ ვიმუშავებთ, რა დავაკელით და რა ვერ გავაკეთებთ.

გისურვებთ წარმატებებს.